ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიტნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. თებერვლის 16 № 2 ნაწილი პირველი

შინაარსი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

17. დადგენილება № 84 ც. ა. კ.—ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საბჭოთა არჩევნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

18. დადგენილება № 90 ც. ა. კ.—საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1929 წელში.

19. დადგენილება № 93 ც. ა. კ.—განსაკუთრებული საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის.

20. დადგენილება 102 ც. ა. კ.—პროსტატუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება პროსტატუციასთან საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ.

21. დადგენილება № 103 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსის 115 და 118 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

22. დადგენილება № 104 ც. ა. კ.—საბჭოთა საარჩევნო კამპანიის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშების საწარმოში მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენახვის შესახებ.

23. დადგენილება № 105 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ვენერიულ სენთან საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

17. დადგენილება № 84 ც. ა. კ.

ცენტრალური დაწესებულებისა და ადგილობრივი ორგანოების მიერ საბჭოთა არჩევნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

იმ მიზნით, რომ მომავალი (1928/1929 წლის) საბჭოთა არჩევნების წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, თვით არჩევნების წარმოება და არჩევნების შედეგების გამოკვლევა ორგანიზაციულ-ტეხნიკური მხრით წარმატებით იქნეს ჩატარებული, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკალოს ქვემოდ ჩამოთვლილ ორგანოებს, საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის 30 მუხლის თანახმად, მიაწოდონ საქალაქო, სარაიონო, სათემო, ან სასოფლო საარჩევნო კომისიებს კუთვნილებისამებრ ცნობები.

ა) სასამართლო ორგანოებმა—იმ პირთა შესახებ, რომელნიც სასამართლოს განაჩენით უფლება-აყრილი არიან, ან ვიზედაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მათი განდევნის შესახებ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან:

ბ) საფინანსო ორგანოებმა იმ პირების საშემოსავლო და სარეწო გადასახადის გასტუმრების შესახებ, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად, ან ვინც არაშრომითი შემოსავლით სცხოვრობს, აგრეთვე იმ პირთა მიერ პატენტების აღების შესახებ, ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე საკაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწევა.

გ) დამზღვევმა სალაროებმა—იმ პირთა მიერ დაზღვევის თანხების შეტანის შესახებ, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად.

დ) სამეურვეო ორგანოებმა—იმ სრულწლოვან მოქალაქეთა შესახებ, რომელთათვისაც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა,

და ე) ჯანმრთელობის ორგანოებმა—იმათ შესახებ, ვინც სულით ავადმყოფად ან ჭკუანაკლებად იქნება ცნობილი.

2. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს დაეკალება ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს არჩევნების საარიცხვო ფორმების სისწორით შედგენის საქმეში; გარდა ამისა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სტატისტიკური განყოფილება ეალდებულია შეკრიფოს, წესრიგში მოიყვანოს და დაამუშაოს არჩევნების შედეგების აღრიცხვის ყველა მასალა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელობით.

3. დაეკალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით შეიმუშაონ და მათ ქვემდებარე ორგანოებს მიაწოდონ 1-ლ მუხლში გათვალისწინებული ცნობების შეკრეფისა და საარჩევნო კომისიებისათვის გადაცემის წესები.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 266 №-ში 1928 წ. ნოემბრის 17.

---

18. დადგენილება № 90 ც. ა. კ.

საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1929 წელში.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის 65 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს 1929 წელს სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოების, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები.

შენიშვნა. არჩევნების წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ინსტრუქციით—მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები უნდა შეუდგნენ დაუყოვნებლივ ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე: საანგარიშო და წინასწარ არჩევნების კამპანია უნდა განხორციელებულ იქნეს 1929 წლის იანვრის 1-დან იმავე წლის თებერვლის 1-მდე, ხოლო საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1929 წლის თებერვლის 1-დან მარტის 1-მდე.

3. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობები და საბჭოთა სამაზრო ყრილობები მოწვეულ უნდა იქნენ 1929 წლის მარტის 1-დან მარტის 15-მდე.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნეს 1928 წლის მარტის მეორე ნახევარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სათანადო ორგანოებს დაეევალებათ დაუყონებლივ შეადგინონ აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები და ტფილისის სამაზრო-საქალაქო, სამაზრო, საქალაქო, სარაიონო, სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმ.
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართვ. ცენტრალური აღმ.
კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 21.
ტფილისი-სასახლე.

---

19. დადგენილება № 93 ც. ა. კ.

განსაკუთრებული საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, 1928 წლის ნოემბრის 21-ს დამტკიცებული საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის 59 და 80 მუხლით გათვალისწინებული საარჩევნო ნორმების გამონაკლისის დასამყარებლად, ადგენს:

აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დეპუტატები სათემო საბჭოში აირჩევიან იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 50 მცხოვრებზე, ხოლო დეპუტატები საბჭოთა სამაზრო ყრილობისათვის იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს: ყოველ 250 მცხოვრებზე—სათემო საბჭოსაგან და ყოველ 100 ამომრჩეველზე—ბათომის ქალაქის საბჭოსაგან.

სრულიად საქართვ. ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართვ. ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 283 №-ში 1928 წ. დეკემბრის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. დადგენილება № 102 ც. ა. კ.

პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება „პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პროსტიტუციასთან საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შესახებ.

1. პროსტიტუციასთან საბრძოლველად წარმოებული მუშაობის გაერთიანებისა და შეთანხმების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოწყობილია ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭო.

2. ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს შედგენილობაში შედიან წარმომადგენლნი:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა;
2. საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა;
3. ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა;
4. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა;
5. იუსტიციის სახ. კომისარიატისა;
6. განათლების სახ. კომისარიატისა;
7. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისა;
8. სოც. უზრუნველ. სახ. კომისარიატისა;
9. შრომის სახ. კომისარიატისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვისათვის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან არსებული ა/კ რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების რწმუნებულის სამმართველოსი;

11. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისა;

12. საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებისა;

13. კავკასიის წითელდროშიანი არმიის სამხედრო-სასანიტაროო სამმართველოსი;

14. ტფილისის შრომის ბირჟისა და

15. საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი.

3. ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს თავმჯდომარედ არის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, მდივნად—ცენ. რესპ. საბჭოს წევრი—ქალთა კომისიის წარმომადგენელი. საბჭო გამოიყენებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმ. კ-ტის კანცელარიის აპარატს.

4. ცენ. რესპ. საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, ხოლო თვეში ერთჯერ მაინც.

5. ცენ. რესპ. საბჭო საჭიროებისდა მიხედვით მოიწვევს გაფართოებულ სხდომებს, რომელზედაც სათათბირო ხმის უფლებით მოიწვევიან სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელნი და აგრეთვე ის პირნიც, რომელთა დასწრება ხელს შეუწყობს პროსტიტუციასთან ბრძოლის საკითხების რაციონალურად გადაწყვეტას.

6. ცენტრალურ რესპუბლიკანურ საბჭოს დაკისრებული აქვს:

ა) ყველა იმ უწყებისა, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობის გაერთიანება და წარმართვა, რომლებიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე პროსტიტუციასთან ბრძოლას აწარმოებენ;

ბ) სათანადო დაწესებულებისა და ორგანიზაციის მეშვეობით იმის გამორკვევა და შესწავლა, თუ რამდენად და რა სახითაა პროსტიტუცია გავრცელებული და რა პირობები უწყობს ხელს მის გავრცელებას;

გ) ცენტრში და ადგილობრივ პროსტიტუციის მთავარ მიზეზებთან საბრძოლველად კონკრეტულ ღონისძიებათა დეტალური დამუშავება;

დ) წინასწარი განხილვა ყველა ადმინისტრატიული, საკანონმდებლო და დისპანსერული ხასიათის ღონისძიებისა, რასაც დაიმუშავებენ როგორც ის დაწესებულება-ორგანიზაციები, რომელთა ცენ. რესპ. საბჭოში თავისი წარმომადგენლები ჰყავთ, ისე ისინიც, რომელთაც წარმომადგენლები არა ჰყავთ;

ე) პროსტიტუციასთან საბრძოლველ რაციონალურ ღონისძიებათა შესახებ გეგმაშეწონილი და დაწვრილებითი ინსტრუქტიობის გაწევა იმ დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის, რომელნიც აწარმოებენ ბრძოლას პროსტიტუციასთან როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ;

ვ) რესპუბლიკის მასშტაბით მორალური და მატერიალური დახმარების აღმოჩენა ყველა იმ დაწესებულება-ორგანიზაციისათვის, რომლებიც პროსტიტუციას ებრძვიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ცენ. რესპ. საბჭოს მიერ დასახული მიზნების ზედმიწევნითი და გეგმაშეწონილი პოპულარიზაცია მშრომელთა ფართო მასებს შორის, როგორც ცენტრში, ისე ადგილმბრივ;

თ) მშრომელთა მასებში, სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით, ფართო სასანიტარო-საგანმანათლებლო აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება. ამ მასების ჰიგიენურად აღზრდის მიზნით და მათ შორის ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის სფეროში ახალი პრინციპების გავრცელება (ლექციები, საუბრები, სანიტარული შინაარსის წარმოდგენები და სხვ.);

ი) ორივე საფეხურის სკოლაში სქესობრივი აღზრდის საკითხის სწორი და რაციონალური დაყენებისათვის ხელისშეწყობა;

კ) ქალის ეკონომიური, უფლებრივი და პოლიტიკური განთავისუფლება სათანადო ორგანიზაციებისათვის სოციალისტური აღმშენებლობის პროცესში სამომავლო სტიმულის მიცემის გზით;

ლ) ქალის მატერიალურ უმწეობასა და უპატრონობასთან ბრძოლა აღმშენებლობის ყველა დარგში ქალის აქტიურად ჩაბმით (კოლექტივი, ფროფილაქტორია, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.), დედათა და ბავშვთა დაცვით, ქალის შრომის დაცვით, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლით, უპატრონო ქალებისა და ბავშვებისათვის ახალი სახლების მოწყობისა და უკვე არსებული სახლების გაფართოებისათვის ხელისშეწყობით და სხვ.

მ) ულმობელი და გადამწყვეტი ბრძოლა პროსტიტუციის ხელისშემწყობ პირებთან—მაჭანკლებთან, გარყვნილების ბუდეთა პატრონებთან და სუტენერებთან, რომელთა წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ადმინისტრატიული და სასამართლოს ზედმოქმედების ღონისძიება;

ნ) ვენერიული სენით დაავადებულთათვის ხელმისაწვდომი უფასო წამლობის მოწყობა ვენერიულ დისპანსერებისა და პროფილაქტორიების ქსელის გაფართოებით.

---

21. დადგენილება № 103 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 115 და 118 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის მეორე ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ხოლო, უკეთუ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილობის გადამეტებას თან სდევდა, გარდა ამისა, ძალადობა, ან იარაღის ხმარება, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზარალებულის განსაკუთრებით დატანჯვა და მისი პირადი ღირსების შეურაცყოფა—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლაციით.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის მეორე ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში (ანგარება, სიყალბე, ქონების გატაცება, მექრთამეობა და სხვ.)—

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ხუთი წლისა სასტიკი იზოლაციით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალ. კომ. საბჭ. თავმჯდ. **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 18.
ტფილისი—სასახლე.

---

22. დადგენილება № 104 ც. ა. კ.

საბჭოთა საარჩევნო კამპანიის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშების საწარმოში ბუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენახვის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ის მუშები, რომლებიც სათანადო ორგანოების განკარგულებით გაიგზავნებიან ტფილისის და სხვა ქალაქების საწარმოებიდან საბჭოთა საარჩევნო კამპანიის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად, განთავისუფლებული უნდა იქნენ თავიანთ საწარმოში მუშაობისაგან მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ისინი მივლინებაში იქნებიან, და ამავე დროს განმავლობაში მათ უნდა შეენახოთ მათი საშუალო სამუშაო ხელფასი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. **ვ. სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 29.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. დადგენილება № 105 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ვენერიულ სენთან საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ.

ვენერიულ სენის გავრცელებასთან საბრძოლველად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჯანმრთელობის ორგანოს უფლება აქვს: ა) იძულებით შეამოწმოს ესა თუ ის პირი, უკეთუ საკმაო საფუძველი ექნება იფიქროს, რომ მას ვენერიული სენი სჭირს, თანაც ისეთ სტადიაში, როდესაც ეს სენი გადამდებია, და უკეთუ ნებაყოფლობით არ თანხმდება შემოწმებაზე; ბ) იძულებით უწამლოს იმ პირს, რომელსაც ამა დადგენილების მე-2 მუხლში გათვალისწინებული წესით შემოწმების შემდეგ აღმოაჩნდა ვენერიული სენი გადამდებ სტადიაში, უკეთუ ეს პირი ნებაყოფლობით არ თანხმდება წამლობაზე.

შენიშვნა 1. ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული უფლება ვრცელდება აგრეთვე ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც საჭიროა განმეორებითი შემოწმება.

შენიშვნა 2. იძულებითი წამლობა გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე სენი გადამდებ ძალას არ დაჰკარგავს.

2. იძულებითი შემოწმებისა და აგრეთვე იძულებითი წამლობის უფლება აქვთ მხოლოდ ჯანმრთელობის ორგანოებს, თანაც მარტოოდენ იმ პირთა მიმართ, რომელთა დაავადებაც გამორკვეულია მედიკო-სანიტარული დაწესებულების მიმდინარე მუშაობის დროს, და:

ა) რომელნიც ისეთ საბინაო პირობებში ცხოვრობენ, რომ საბინაო სანიტარულ ზედამხედველობის დასკვნით, შეუძლიანთ თავისი სენი შეჰყარონ მათ გარშემო მყოფ პირთ;

ბ) რომელნიც ისეთ პირობებში მუშაობენ, რომ სანიტარულ ზედამხედველობის დასკვნით შეუძლიანთ თავისი სენი შეჰყარონ იმათ, ვისაც ისინი მომსახურეობას უწევენ ან ვინც მათთან ერთად მუშაობს;

გ) რომელნიც 1 და 2 საფეხურის და ფაბრიკა-ქარხნის სკოლებში და ტეხნიკუმებში სწავლობენ—სასკოლო-სანიტარულ ზედამხედველობის დასკვნთ;

დ) რომელნიც დაქირავებით მუშაობენ ძიძათ ან შინა-მოსამსახურედ—სამკურნალო-სანიტარული ზედამხედველობის დასკვნით;

ე) იმ ორსულ ქალებს მიმართ, რომელთა სიფილისით დაავადება (ამ სენის ყოველ სტადიაში) გამორკვეულია მედიკო-სანიტარული დაწესებულების მიმდინარე მიშაობის დროს.

3. იძულებითი შემოწმებას და იძულებითი წამლობას ჯანმრთელობის ორგანოები აწარმოებენ უსასყიდლოდ.

შენიშვნა. დაზღვეული პირის იძულებითი წამლობა სწარმოებს სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოს ხარჯით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ის პირი, რომელიც, ჯანმრთელობის ორგანოს მოთხოვნის მიუხედავათ, თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებულ შემოწმებას ან წამლობას ან და თავის ნებით მიტოვებს დაწყებულ წამლობას, პასუხს აგებს სისხლ. სამ. კოდ. 212 მუხლისამებრ, უკეთუ მისი ქმედობა არ შეიცავს იმავე კოდექსის 157 მუხ. გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს.

5. ამა დადგენილების შეფარდების წესი განისაზღვრება იმ ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **ვ. სტურუა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. დეკემბრის 22.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახ. კომის. საბჭოს საქმეთა მმართველობის ს ტ ა მ ბ ა
მთავლიტი 229 ტირაჟი 1.250